



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1325
19/07/2018

ქალაქი ბათუმი

1325-05-4-201807191700



მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში მაღალმთიან დასახლებაში ფაქტობრივად ცხოვრების მონიტორინგისთვის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბერის №591 დადგენილებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის მერაბ მიქელაძის 2018 წლის 06 ივლისის №1905-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად ვბრძანება:

1. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, მაღალმთიან დასახლებაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების მონიტორინგის განხორციელება დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულთან ურთიერთობის განყოფილების III და IV რანგის უმცროს და უფროს სპეციალისტებს მაჭახელას ადმინისტრაციულ ერთეულში.

2. მონიტორინგის ანგარიშის შემაჯამებელი სახით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გადაგზავნაზე და მონიტორინგის განხორციელების შედეგად ნაწარმოები დოკუმენტაციის საბჭოში წარდგენაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - მერაბ მიქელაძე.

3. ამ ბრძანების პირველი და მეორე პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა მონიტორინგი და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება უზრუნველყონ „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბერის №591 დადგენილების მე-9 მუხლის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს ამ ბრძანების პირველი და მეორე პუნქტით განსაზღვრულ პირთათვის მონიტორინგის ჩატარებისათვის შესავსები ფორმები №1, №2 და №3 დანართების შესაბამისად.

5. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

